

დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამა

ალერგოლოგია/იმუნოლოგია

ხანგრძლივობა – 3 წ. - 33 თვე

I. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის მიზანი და ამოცანები

პროგრამის მიზანია ალერგოლოგია-იმუნოლოგიაში პოსტდიპლომური სარეზიდენტო სწავლების განხორციელება. ამ დარგში თანამედროვე სპეციალისტის მომზადება, რომელსაც აქვს მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ისეთი დონის ფუნდამენტური თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომელიც საჭიროა ალერგიულ, აუტოიმუნურ და იმუნოდეფიციტურ დაავადებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციისათვის.

2. სპეციალობის აღწერილობა

სპეციალობისა და სპეციალისტის განსაზღვრება (დებინიცია)-ალერგოლოგია და კლინიკური იმუნოლოგია წარმოადგენს მედიცინის დარგს იმუნოპათოლოგიის შესახებ, რომელიც შეისწავლის ალერგიულ, აუტოიმუნურ და იმუნოდეფიციტურ დაავადებებს. ალერგოლოგი და კლ. იმუნოლოგი არის სერტიფიცირებული სპეციალისტი, რომელსაც აქვს მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნა და ფლობს პრაქტიკული საექიმო საქმიანობისთვის აუცილებელ უნარებს, რომელიც საჭიროა ალერგიულ, აუტოიმუნურ და იმუნოდეფიციტურ დაავადებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციისათვის.

სპეციალობა ალერგოლოგია/იმუნოლოგია წარმოადგენს ექიმის პრაქტიკული მოდვაწეობის იმ სფეროს, რომელიც მოიცავს (შემოიფარგლება) იმუნოპათოლოგიური მდგომარეობებით (ალერგია, აუტოიმუნური და იმუნოდეფიციტური დაავადებები) დაავადებული პაციენტების თანამედროვე დონის შესაბამის სამედიცინო მომსახურებას. ალერგოლოგი/იმუნოლოგი არის სპეციალისტი, რომელიც ფლობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის თეორიულ ცოდნას და უნარებს თავისი სპეციალობის კომპეტენციის ფარგლებში და დამოუკიდებლად შეუძლია წარმართოს იმუნოპათოლოგიური მდგომარეობების (ალერგიული ბრონქ-პულმონალური ასპერგილოზი, ანაფილაქსია, ასთმა, ხველა, დერმატიტი (ატოპიური და კონტაქტური), წამლის ალერგია, კვებითი ალერგია, ინსექტალერგია, ჰიპერსენსიტიული პნევმონიტი, პროფესიული ალერგია, რინიტი, სინუსიტი, რინოსინუსიტი, კონიუნქტივიტი, ურტიკარია, ანგიოშემუშებვა, პირველადი და მეორადი იმუნოდეფიციტური მდგომარეობები) დიაგნოსტიკა, მკურნალობა, პრევენცია, პროგნოზირება და მართვა როგორც მოზრდილებში, ასევე ბავშვთა ასაკის პაციენტებში.

სპეციალისტის პროფესიული ზოგადი ცოდნა – (კანონმდებლობა, გაიდლაინები და სხვ.)

ექიმ სპეციალისტ ალერგოლოგ-იმუნოლოგს უნდა გააჩნდეს ზოგადი ცოდნა სპეციალობის, კანონმდებლობისა და დეონტოლოგიის მიმართულებით.

ზოგადი ცოდნა სპეციალობის მიმართულებით

გულისხმობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ცოდნას იმუნოპათოლოგიური მდგომარეობების (როგორცაა: ალერგიული ბრონქ-პულმონალური ასპერგილოზი, ანაფილაქსია, ასთმა, კონიუნქტივიტი, ხველა, დერმატიტი (ატოპიური და კონტაქტური),

წამლის ალერგია, კვებითი ალერგია, ჰიპერსენსიტიული პნევმონიტი, პროფესიული ალერგია, პირველადი იმუნოდეფიციტური მდგომარეობები, რინიტი, სინუსიტი, რინოსინუსიტი, ურტიკარია, ანგიოშემუპება) ეპიდემიოლოგიის, ეტიოლოგიის, რისკ-ფაქტორების, პათოგენეზური მექანიზმების, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა დაპრევენციის საკითხების შესახებ. აღნიშნული სპეციალობის ექიმს უნდა შეეძლოს ამ დაავადებების მართვა როგორც მოზრდილებში, ასევე ბავშვთა ასაკის პაციენტებში.

ზოგადი ცოდნა კანონმდებლობის მიმართულებით

ექიმი ალერგოლოგი უნდა ერკვეოდეს კანონმდებლობის საკითხებში:

- საქართველოს კანონი "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ"
- საქართველოს კანონი "საექიმო საქმიანობის შესახებ"
- საქართველოს კანონი "პაციენტის უფლებების შესახებ"
- ექიმისა და პაციენტის ურთიერთობების საფუძვლები
- ბიოეთიკის თანამედროვე პრინციპები
- The World Medical Association Declaration of Madrid on Professional Autonomy and Self-Regulation (<http://www.wma.net/e/policy/a21.htm>)
- Medical Practice (<http://www.allbusiness.com/services/health-services-offices-clinics-doctors/3778853-1.html>)
- Policy statement. American Board of Allergy and Immunology. 1995.

ზოგადი ცოდნა დეონტოლოგიის მიმართულებით

ექიმი ალერგოლოგი უნდა ფლობდეს დეონტოლოგიის საკითხებს. რაც ექიმის წარმატების აუცილებელი წინაპირობაა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შემდეგი უნარჩვევების ფლობა: პაციენტისთვის ექიმის მაქსიმალური მიწვდომადობის უზრუნველყოფა, მისთვის თავის წარდგენის, დარწმუნების და წახალისების ხელოვნება. პაციენტისთვის საინტერესო საკითხების ახსნის და შეთავაზებული დიაგნოსტიკური, სამკურნალო პროფილაქტიკური ზემოქმედებების ჩატარების დამაჯერებელი არგუმენტირების უნარი.

ექიმ-სპეციალისტის ზოგადი უნარ-ჩვევები – (იმ დაავადებების და მდგომარეობების ჩამონათვალი, რომელთა პირველადი და განსაკუთრებული/გადაუდებელი დახმარება უნდა შეეძლოს ექიმ-სპეციალისტს).

- ალერგიული ბრონქოპულმონალური ასპერგილოზი,
- ანაფილაქსია,
- ასთმა,
- კონიუნქტივიტი,
- ხველა,
- დერმატიტი (ატოპიური და კონტაქტური),
- წამლის ალერგია,
- კვებითი ალერგია,
- ჰიპერსენსიტიული პნევმონიტი,
- პროფესიული ალერგია,
- პირველადი იმუნოდეფიციტური მდგომარეობები,
- რინიტი,
- სინუსიტი,
- რინოსინუსიტი,
- ურტიკარია,
- ანგიოშემუპება.

ექიმ-სპეციალისტის ზოგადი უნარ-ჩვევები მოიცავს, ასევე:

ლიტერატურული რესურსების შეგროვების და გამოყენების მეთოდოლოგიას

- იმ მეთოდების ცოდნა, აღწერა და გამოყენება, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მაღალი სარწმუნოების ლიტერატურის წყაროების იდენტიფიცირება;
- პირველადი კვლევების არსი და მათი შეფასება;
- მეორადი კვლევების არსი და მათი შეფასება;
- ელექტრონული რესურსების გამოყენება;
- გაიდლაინების და კონსენსუსების ხარისხის და სარწმუნოების შეფასება.

ლიტერატურის წყაროების სარწმუნოების დონეების ცოდნას

- Ia მეტა-ანალიზი (კონტროლირებადი კვლევების);
- Ib რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევები;
- II არარანდომიზებული კონტროლირებადი კვლევები;
- III ობსერვაციული კოჰორტული კვლევები ან საცდელ-საკონტროლო კვლევები;
- IV მიმოხილვითი სტატიები ან ექსპერტთა რეკომენდაციები;
- პრაქტიკული რეკომენდაციების ფორმულირების, ხარისხის და იმპლემენტურობის შეფასება;
- რეკომენდაციების რანჟირება სარწმუნოების მიხედვით.

სპეციალობა მოიცავს ქვემოჩამოთვლილი დაავადებების, პათოლოგიური მდგომარეობების კლინიკას, დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პროფილაქტიკას –

- ალერგიული ბრონქოპულმონალური ასპერგილოზი,
- ანაფილაქსია,
- ასთმა,
- კონიუნქტივიტი,
- ხველა,
- დერმატიტი (ატოპიური და კონტაქტური),
- წამლის ალერგია,
- კვებითი ალერგია,
- ჰიპერსენსიტიული პნევმონიტი,
- პროფესიული ალერგია,
- პირველადი იმუნოდეფიციტური მდგომარეობები,
- რინიტი,
- სინუსიტი,
- რინოსინუსიტი,
- ურტიკარია,
- ანგიოშემუშუპება.

იმ ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩამონათვალი, რომელთა შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება უნდა შეემდოს ექიმ – სპეციალისტს –

- კანის ალერგიული სინჯების ჩატარება;
- პროვოკაციული ალერგიული სინჯების ჩატარება;
- სპირომეტრიისა და პიკფლოუმეტრიის ჩატარება;
- იმუნური სტატუსის შეფასება.

ექიმ-სპეციალისტის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები *-(დიაგნოსტიკური და სამკურნალო მანიპულაციები)*

ალერგიული პაციენტების ფარმაკოლოგიური და იმუნოლოგიური მართვა

- საინჰალაციო და პერორალური სტეროიდების გამოყენება;
- იმუნომოდულაციური თერაპია;
- ინჰალაციური თერაპია;
- დესენსიბილიზაციური თერაპია;
- თერაპიული ეფექტების შეფასება;
- დიაგნოსტიკური ტესტების მგრძობელობის/სპეციფიკურობის, დადებითი და უარყოფითი პროგნოზული მნიშვნელობების შეფასება;
- დიაგნოსტიკური ტესტების სიზუსტის შეფასება.

ალერგიული პაციენტების არაფარმაკოლოგიური მართვა

- დაავადების პრევენციის საკითხებში პაციენტის განათლება;
- პაციენტის მკურნალობისა და მართვის დაგეგმარება;
- თვითმონიტორირების საკითხებში პაციენტის განათლება;
- თვითმკურნალობის საკითხებში პაციენტის განათლება.

ექიმ-სპეციალისტის პაციენტთა მომსახურების პოპულაცია (ასაკობრივი ჯგუფი), რომელსაც ემსახურება კონკრეტული სპეციალობის ექიმი –

ექიმი სპეციალისტის ალერგოლოგ-იმუნოლოგის მომსახურების პოპულაციას წარმოადგენს როგორც მოზრდილი, ასევე ბავშვთა ასაკის პაციენტები.

იმ სპეციალობათა და შესაბამისი სუბსპეციალობების (სპეციალიზაციების) ჩამონათვალი, რომელთანაც კონკრეტულ დარგს შესაძლებელია ჰქონდეს საერთო/საზიარო კომპეტენციები და აღწერდეს მათ შორის კომპეტენციათა გამიჯვნის შესაძლებლობებს პირველადი ჯანდაცვის, ზოგადი პროფილის ჰოსპიტალური და მაღალტექნოლოგიური სერვისების სპეციფიკის გათვალისწინებით –

- ალერგოლოგიასა და კლ. იმუნოლოგიაში სერტიფიცირებულ სპეციალისტს აუცილებელია გააჩნდეს ზოგადი ცოდნა მოცემულ სპეციალობასთან მომიჯნავე ყველა სპეციალობაში (შინაგანი მედიცინა, პედიატრია, ლაბორატორიული იმუნოლოგია, დერმატოლოგია, გასტროენტეროლოგია, პულმონოლოგია, ენდოკრინოლოგია).
- სასურველია გააჩნდეს ზოგადი ცოდნა - დამატებით სპეციალობებში. მაგალითად, კლინიკური ფარმაკოლოგია, ეპიდემიოლოგია, პროფესიული მედიცინა, პრევენციული მედიცინა, ოტო-რინო-ლარინგოლოგია, მტიკიცებითი მედიცინა, დეონტოლოგია.

3. პროფესიული მზადების სტრუქტურა

ალერგოლოგია-იმუნოლოგიაში პროფესიული მზადების სტრუქტურა მოიცავს ორ საფეხურს: ზოგადსა და სპეციფიკურს, რომლებშიც მზადების ეტაპების შესაბამისად ინტეგრირებულია კომპეტენციების და შეფასების სისტემა; პირველი საფეხური - ზოგადი მზადების ნაწილი საერთოა შინაგანი მედიცინის ყველა სპეციალობისთვის. იგი მიზნად ისახავს საბაზო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ამასთან ორიენტირებულია მწვავე, გადაუდებელ მდგომარეობებზე. ზოგადი ნაწილი საშუალებას აძლევს რეზიდენტს დაეუფლოს კომპეტენციებს, რომელიც საერთოა შინაგანი მედიცინის სპეციალობებისათვის. მზადების მეორე - სპეციფიკური ნაწილი ორიენტირებულია ალერგოლოგია-იმუნოლოგიაში მზადებასა და სპეციფიკური კომპეტენციების დაუფლებაზე (ალერგიული და სხვა იმუნოპათოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა).

პირველი წლის მოდულები

პროგრამის ზოგადი ნაწილი - პროფესიული მზადების I წელი		
მოდ. ¹	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1.	ამბულატორიული თერაპია	4თვე
1.2	თერაპიული პაციენტების მართვა სტაციონარში	3 თვე
1.3.	გადაუდებელი მედიცინა	2 თვე
1.4.	გულ-სისხლძარღვთა დაავადებები	2თვე

პროგრამის სპეციფიკური ნაწილი		
პროფესიული მზადების I (II) წელიწადი		
მოდ. ¹	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1.	საბაზისო ცოდნის გადასინჯვა ანატომიასა და ფიზიოლოგიაში (ალერგიის მანიფესტაციის ორგანოებისა და სისტემების ანატომია და ფიზიოლოგია). ალერგიისა და იმუნიტეტის ძირითადი ცნებები და კრიტერიუმები. ალერგია და იმუნიტეტი. ალერგიული რეაქციების თანამედროვე კლასიფიკაცია.	4 თვე
1.2.	ალერგიული დაავადებების დიაგნოსტიკა. სპეციფიკური ალერგოდიაგნოსტიკის ცნება და ეტაპები. ალერგოდიაგნოსტიკა in vivo; ალერგოდიაგნოსტიკა in vitro.	5 თვე
1.3.	ბრონქული ასთმა	2 თვე
პროფესიული მზადების II (III) წელიწადი		
მოდ. ¹	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
2.1.	ალერგიული რინიტი, არაალერგიული რინიტი, ალერგიული რინიტის თანმხლები დაავადებები (მწვავე და ქრონიკული სინუსიტი, ოტიტი), ატოპიური ეგზემა, კვებითი ალერგია, ორალური ალერგიული სინდრომი	3 თვე
2.2.	ინსექტალერგია, ურტიკარია, ანგიოშემუშუპება, თანდაყოლილი და შეძენილი C1 ესთერაზის ინჰიბიტორის დეფიციტი, წამლის ალერგია, კონტაქტური დერმატიტი, პროფესიული ალერგია, ეგზოგენური ალერგიული ალვეოლიტი, მასტოციტოზი	4 თვე
2.3.	ანტიჰისტამინური პრეპარატები, გლუკოკორტიკოსტეროიდები, β ₂ -აგონისტები, ქოლინოლიზური და მემბრანმასტაბილიზებელი საშუალებები, მეთილქსანტინები, ლეიკოტრიენების მოდიფიკატორები, კალცინურინის ინჰიბიტორები, მონოკლონური ანტი-IgE პრეპარატი	2 თვე
2.4.	იმუნოთერაპია, პრეპარატების ხარჯ-ეფექტურობა და რისკ-სარგებლობა, გვერდითი ეფექტები და წამალთა შორის ურთიერთქმედება; საინფორმაციო რესურსების გამოყენება, პაციენტების გადამისამართების საკითხები. იმუნოდეფიციტური დაავადებები: თანდაყოლილი და შეძენილი; უჯრედული, B სისტემის დეფიციტით მიმდინარე და კომბინირებული იმუნოდეფიციტები.	2 თვე

4. აკადემიური პერსონალი, კვალიფიკაცია და საგანმანათლებლო რესურსები:

სარეზიდენტო პროგრამით მზადებას უზრუნველყოფენ მაღალკვალიფიციური პედაგოგები, „ალერგოლოგია-იმუნოლოგია“ და „შინაგან მედიცინაში“ სერტიფიცირებული აკადემიური პერსონალი, რომელთაც საკმარისი საგანმანათლებლო რესურსი გააჩნიათ იმისათვის, რომ რეზიდენტმა სრულყოფილი კურსი გაიაროს. დაკმაყოფილდება მოთხოვნა წლის განმავლობაში ამბულატორიულ რეჟიმში პაციენტების მომართვიანობის და სტაციონარულ რეჟიმში დაყოვნების (საწოლდღეების) მიხედვით; ჩატარებული სამკურნალო, პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური მანიპულაციების რაოდენობის მიხედვით; ასევე სასწავლო ფართის და ტექნიკური აღჭურვილობის მიხედვით.

5. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

- პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია;
- პროგრამის შესაბამისობა საქართველოში ამჟამად მოქმედ დიპლომის შემდგომ პროგრამებთან და, ასევე, დიპლომის შემდგომი განათლების საერთაშორისო (ევროპულ და ამერიკულ) სტანდარტებთან;
- როგორც თეორიული კურსის, ასევე პრაქტიკული უნარების ათვისების კონტროლი პროგრამის ხელმძღვანელის, მოდულებზე პასუხისმგებელი პირებისა და სწავლებაში მონაწილე სხვა პერსონალის მიერ;
- სასწავლო მეთოდების მრავალფეროვნება და კურიკულუმების მუდმივი განახლებადობა.

6. პროგრამის მართვა და ადმინისტრირება

სარეზიდენტო პროგრამის მართვა და ადმინისტრირება გულისხმობს ადგილზე შემდეგი მექანიზმების განხორციელების უზრუნველყოფას:

- კურიკულუმის მიზნობრივ გამოყენებას პედაგოგებისა და მამიებლების/რეზიდენტების მიერ;
- ლიტერატურის ხელმისაწვდომობას, პაციენტებთან მუშაობის პრაქტიკული უნარებისა და სპეციფიკური დიაგნოსტიკური მეთოდების ათვისების უზრუნველყოფას;
- მამიებლების/რეზიდენტების პასუხისმგებლობისა და პროგრამის დაუფლების ხარისხის კონტროლს აკადემიური პერსონალის მიერ კურიკულუმის განხორციელებისას;
- კურიკულუმის მართვას პროგრამების შიგნით როტაციების დროს.

7. პროგრამის ხანგრძლივობა – 3 წელი

8. პროგრამის განახლების პერიოდულობა

- a) ყოველი პროგრამა, თეორიული და პრაქტიკული უნარები, ისევე როგორც გაიდლაინები, ექვემდებარება რევიზიას - კონკრეტულ გარემოსა და ვითარებაში მათი იმპლემენტაციის შეფასებას. ამიტომაც, აუცილებელია დანერგილი პროგრამების ეფექტურობისა და მარგი ქმედების პერიოდული შეფასება. შეფასება ხორციელდება როგორც პედაგოგიური

პერსონალის, ასევე თავად მაძიებლების მიერ სპეციალური კითხვარის საშუალებით (კითხვარი თან ერთვის – იხ. პუნქტი პროგრამის შეფასება/გამოცდა).

- b) პროგრამის განახლება მოხდება 3 წელიწადში ერთხელ მასში შემავალი კომპონენტების 5-10 პროცენტით, ახალი ინფორმაციის შემოსვლის პერიოდულობის გათვალისწინებით.

I. პროგრამის ზოგადი ნაწილი - პროფესიული მზადების I წელი

1.1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - ამბულატორიული თერაპია(პირველადი ჯანდაცვის რგოლებში) - 4 თვე;

მოდულის მიზანი - ზოგადი კლინიკური და სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციების დაუფლება. დიაგნოსტიკური თვალსაზრისით რთული სინდრომების დიაგნოსტიკა, მართვა და მონიტორინგი. ძირითადი კომპეტენციების დაუფლება;

მოდულის განხორციელების პირობები –აკრედიტაციის მქონე ნებისმიერი ამბულატორიული დაწესებულება შესაბამისი ასაკობრივი კონტიგენტის მომსახურების (შინაგანი მედიცინა, ოჯახის ექიმი) პროფილით.

კომპეტენცია
ზოგადი კლინიკური კომპეტენციები (განმარტებები დაწვრილებით იხ. სილაბუსში)
ანამნეზის შეკრება
კლინიკური კვლევა
წამლები და უსაფრთხი რეცეპტურა
დაავადების სიმწვავის ხარისხის დადგენა და გადაწყვეტილების მიღების უნარი
გადაწყვეტილების მიღება და კლინიკური აზროვნება
პაციენტი, როგორც ზრუნვის ცენტრალური ფოკუსი
პაციენტისათვის უსაფრთხოების პრიორიტეტის მინიჭება
ჯგუფური მუშაობა და აპციენტის უსაფრთხოება
ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესების პრინციპები
ინფექციის კონტროლი
გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა
პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს
ობიექტური ინფორმაციის მიწოდების უნარი
კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან
საზოგადოებრივი ჯანდაცვა
სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები
ინფორმირებული თანხმობა

მუშაობის ლეგალური ჩარჩოები
ეთიკური კვლევები
მტკიცებულებები და გაიდლაინები
სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციები (იხ. ქვემოთ)
უზშირესი კლინიკური მდგომარეობები:
მუცლის ტკივილი
მწვავე ზურგის ტკივილი
ჰაერის უკმარისობა
ტკივილი გულის არეში
ხველა
დიარეა
გონების კარგვა
ცხელება
ჰემატემეზი და მელენა
თავის ტკივილი
სიყვითლე
კიდურის ტკივილი და შეშუპება
გამონაყარი
გულისრევა და ღებინება
სისუსტე და დამბლა
სხვა მნიშვნელოვანი კლინიკური სიტუაციები:
წარმონაქმნი მუცელში და ჰეპატოსპლენომეგალია
პათოლოგიური მგრძნონელობა (პარესთეზია და მგრძნობელობის დაკარგვა)
აგრესიული და პათოლოგიური ქცევა
შფოთვა და პანიკური აშლილობა
სისხლჩაქცევები და სპონტანური სისხლდენა
დისპეფსია
დიზურია
გამონადენი და წყლულები სასქესო ორგანოებზე
ჰემატურია
ჰემოპტიზი (სისხლიანი ხველა)
მოდრაობის შეზღუდვა
შემთხვევით გამოვლენილი დარღვევები
სახსრების შეშუპება
ლიმფადენოპათია
წელის ტკივილი
ქირურგიული პროცედურების შემდგომი პრობლემები და გართულებები
ორსულობის დროს აღმოცენებული დარღვევები
შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები
ფიზიკური სიმპტომები ორგანული დაავადების გარეშე
პოლიდიფსია
პოლიურია
ქავილი
სისხლდენა სწორი ნაწლავიდან
კანსა და პირის ღრუში არსებული წყლულები
ყლაპვასთან დაკავშირებული პრობლემები
წონასწორობის დაკარგვა/დისბალანსი
წონაში კლება

ლიტერატურის ნუსხა:

1. გ.ქავთარაძე დიაგნოსტიკური მიება შინაგან სნეულებათა კლინიკაში. სიმპტომიდან დიაგნოზამდე.
2. ნ.ტატიშვილი გ.სიმონია – “შინაგანი დაავადებები”
3. Harrison – “Internal Diseases”
4. Merck Manuel
5. ვაშინტონის თერაპიული ცნობარი

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები.

შესრულებული პროცედურები და მანიპულაციები	რაოდენობა
ავადმყოფის დამოუკიდებელი გასინჯვა და დიაგნოზის დასმა	30
ავადმყოფობის ისტორიის დამოუკიდებელი დაწერა	30
მორიგეობა	თვეში მინიმუმ 4

შეფასების სისტემა	ლოკალური ხელმძღვანელის ხელმოწერა
კარგი	
დამაკმაყოფილებელი	
არადამაკმაყოფილებელი	
სფერო, რომელიც საჭიროებს დახვეწას	
კომენტარი	

მოდული 1.2.

მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა – თერაპიული პაციენტების მართვა სტაციონარში- სამი თვე მოდულის მიზანი - ზოგადი კლინიკური და სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციების დაუფლება.. დიაგნოსტიკური თვალსაზრისით რთული სინდრომების დიაგნოსტიკა, ინტენსიური თერაპია და მართვა,

მოდულის განხორციელების პირობები – შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ნებისმიერი სტაციონარული დაწესებულება.

კომპეტენცია
ზოგადი კლინიკური კომპეტენციები
ანამნეზის შეკრება
კლინიკური კვლევა
წამლები და უსაფრთხი რეცეპტურა
მდგომარეობის სიმწვავის ხარისხის განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიღების უნარი
გადაწყვეტილების მიღება და კლინიკური აზროვნება
პაციენტი, როგორც ზრუნვის ცენტრალური ფოკუსი
პაციენტის უსაფრთხოების პრიორიტეტის მინიჭება
ჯგუფური მუშაობა და აპაციენტის უსაფრთხოება
ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესების პრინციპები
ინფექციის კონტროლი
გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა
პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს
ცუსდი ამბების შეტყობინება
საჩივრები და სამედიცინო შეცდომები
კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან
საზოგადოებრივი ჯანდაცვა
სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები
ინფორმირებული თანხმობა

მუშაობის ლეგალური ჩარჩოები
ეთიკური კვლევები
მტკიცებულებები და გაიდლაინები
სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციები
უზშირესი კლინიკური მდგომარეობები:
მუცლის ტკივილი
მწვავე ზურგის ტკივილი
თირკმლის მწვავე დაზიანება და თირკმლის ქრონიკული დაავადება
კოლაფსი
ჰაერის უკმარისობა და ქოშინი
ტკივილი გულის არეში
მწვავე კონფუზია/დელირიუმი
ხველა
დიარეა
ცხელება
ჰემატემეზი და მელენა
სიყვითლე
კიდურის ტკივილი და შეშუპება
მოწამვლა
გულისრევა და დებიანება
პაციენტების მართვა, რომლებიც საჭიროებენ პალიატიურ მზრუნველობას და ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტი
სხვა მნიშვნელოვანი კლინიკური შემთხვევები
წარმონაქმნი მუცელში და ჰეპატოსპლენომეგალია
ასციტი და გაუვალობა
პათოლოგიური მგრძმონელობა (პარესთეზია და მგრძმონელობის დაკარგვა)
სისხლჩაქცევები და სპონტანური სისხლდენა
ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება
ჰემატურია
ჰემოპტიზი
ხმის ჩახლეჩა და სტრიდორი
ჰიპოთერმია
შემთხვევით გამოვლენილი დარღვევები
სახსრების შეშუპება
ლიმფადენოპათია
წელის ტკივილი
ქირურგიული პროცედურების შემდგომი პრობლემები და გართულებები
ორსულობის დროს აღმოცენებული დარღვევები
შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები
ფიზიკური სიმპტომები ორგანული დაავადების გარეშე
პოლიდიფსია
პოლიურია
ქავილი
სისხლდენა სწორი ნაწლავიდან
ყლაპვასთან დაკავშირებული პრობლემები
წონაში კლება

ლიტერატურის ნუსხა:

6. გ.ქავთარაძე დიაგნოსტიკური ძიება შინაგან სნეულებათა კლინიკაში. სიმპტომიდან დიაგნოზამდე.

7. ნ.ტატიშვილი გ.სიმონია – “შინაგანი დაავადებები”
8. Harrison – “Internal Diseases”
9. Merck Manuel
10. ვაშინტონის თერაპიული ცნობარი

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები.

მოდულის შეფასების მეთოდები: ზეპირი გამოკითხვა/ პრეზენტაციის შეფასება/რეფერატის შეფასება.

შესრულებული პროცედურები და მანიპულაციები	რაოდენობა
ავადმყოფის დამოუკიდებელი გასინჯვა და დიაგნოზის დასმა	30
ავადმყოფობის ისტორიის დამოუკიდებელი დაწერა	30
პერიფერიული ვენის პუნქცია და ვენის კათეტერიზაცია;	30
ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
თორაკოცენტეზი, პლევრის პუნქცია	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
პარაცენტეზი	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
სისხლის აღება არტერიული მიდგომით და არტერიული აირების ანალიზი;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
ელექტროკარდიოგრაფია (ელექტროკარდიოგრამის გადაღება და ინტერპრეტაცია);	50
ნაზოგასტრალური ზონდის ჩაყენება	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
შარდის ბუშტის კათეტერიზაცია;	15
მორიგეობა	თვეში მინიმუმ 4

შეფასების სისტემა	ლოკალური ხელმძღვანელის ხელმოწერა
კარგი	
დამაკმაყოფილებელი	
სფერო, რომელიც საჭიროებს დახვეწას	
კომენტარი	

მოდული 1.3.

მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - გადაუდებელი მედიცინა- 2 თვე.

მოდულის მიზანი - ზოგადი კლინიკური და სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციების დაუფლება.

კრიტიკული და გადაუდებელი მდგომარეობების დიაგნოსტიკა და მართვა.

მოდულის განხორციელების პირობები - შესაბამისი აკრედიტაციის მქონე დაწესებულება.

განხორციელების პირობები - შესაბამისი აკრედიტაციის მქონე დაწესებულება.

კომპეტენცია
ზოგადი კლინიკური კომპეტენციები
ანამნეზის შეკრება
კლინიკური კვლევა
წამლები და უსაფრთხო რეცეპტურა
დროის მართვა და გადაწყვეტილების მიღების უნარი
გადაწყვეტილების მიღება და კლინიკური აზროვნება
პაციენტი, როგორც ზრუნვის ცენტრალური ფოკუსი
პაციენტის უსაფრთხოების პრიორიტეტის მინიჭება
ჯგუფური მუშაობა და პაციენტის უსაფრთხოება
ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესების პრინციპები
ინფექციის კონტროლი
გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა
პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს
ცუსდი ამბების შეტყობინება
საჩივრები და სამედიცინო შეცდომები
კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან
საზოგადოებრივი ჯანდაცვა
სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები
ინფორმირებული თანხმობა
მუშაობის ლეგალური ჩარჩოები
ეთიკური კვლევები
მტკიცებულებები და გაიდლაინები
სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციები
გადაუდებელი მდგომარეობები:
გულის გაჩერება
შოკური სტატუსის მქონე პაციენტის მართვა
უგონო პაციენტის მართვა
ანაფილაქსია
უზშირესი სამედიცინო მდგომარეობები:
მუცლის ტკივილი
მწვავე ზურგის ტკივილი
კოლაფსი
ჰერის უკმარისობა და ქოშინი
ტკივილი გულის არემი
მწვავე კონფუზია/დელირიუმი
ხველა
დიარეა
გონების დაკარგვა
კიდურის ტკივილი და შეშუპება
გულის ფრიალი
მოწამვლა
გამონაყარი
გულისრევა და ღებინება
სისუსტე და დამბლა
სხვა მნიშვნელოვანი კლინიკური შემთხვევები
ასციტი და გაუვალობა
პათოლოგიური მგრძმონელობა (პარესთეზია და მგრძმონელობის დაკარგვა)
ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება

სისხლჩაქცევები და სპონტანური სისხლდენა
დიალიზი
ჰემოპტიზი
თავის ტრავმა
ხმის ჩახლეჩა და სტრიდორი
ჰიპოთერმია
მოძრაობის შეზღუდვა
უნებლიე მოძრაობები
სახსრების შეშუპება
წელის ტკივილი
ქირურგიული პროცედურების შემდგომი პრობლემები და გართულებები
ორსულობის დროს აღმოცენებული დარღვევები
შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები
ტკივილი კისრის მიდამოში
ფიზიკური სიმპტომები ორგანული დაავადების გარეშე
სისხლდენა სწორი ნაწლავიდან
მეტყველების გამწვანება
ყლაპვასთან დაკავშირებული პრობლემები
სინკოპე და პრესინკოპე
წონასწორობის დაკარგვა/დისბალანსი
მხედველობის დარღვევა (დიპლოპია, მხედველობის ველის დეფექტები, დაქვეითებული სიმახვილე)

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები.

პროცედურებისა და მანიპულაციების შესრულება უნდა მოხდეს სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად

შესასრულებელი პროცედურები და მანიპულაციები	
ავადმყოფის დამოუკიდებელი გასინჯვა და დიაგნოზის დასმა	
ავადმყოფობის ისტორიის დამოუკიდებელი დაწერა	
პერიფერიული ვენის პუნქცია და ვენის კათეტერიზაცია;	
სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება: ფილტვის ხელოვნური ვენტილაცია, გულის არაპირდაპირი მასაჟი, გულის ელექტრული სტიმულაცია, ელექტრული დეფიბრილაცია, კარდიოვერსია, ტრაქეის ინტუბაცია;	
ტრანსფუზიული თერაპიის ჩვენებების განსაზღვრა და ტექნიკა;	
ცხვირის წინა და უკანა ტამპონადა სისხლდენის დროს;	
პირველადი სასწრაფო დახმარება თვალის ტრავმის, ჭრილობების, დამწვრობის დროს;	
ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია;	
თორაკოცენტეზი, პლევრის პუნქცია	
პარაცენტეზი	
სისხლის აღება არტერიული მიდგომით და არტერიული აირების ანალიზი;	
ელექტროკარდიოგრაფია (ელექტროკარდიოგრამის გადაღება და ინტერპრეტაცია);	
ნაზოგასტრალური ზონდის ჩაყენება	
სისხლდენის შეჩერების დროებითი მეთოდები;	
მოტეხილობების დროებითი იმობილიზაცია;	
შარდის ბუშტის კათეტერიზაცია;	
მორიგეობა	

შეფასების სისტემა	ლოკალური ხელმძღვანელის ხელმოწერა
კარგი	
დამაკმაყოფილებელი	

არადამაკმაყოფილებელი	
სფერო, რომელიც საჭიროებს დახვეწას	
კომენტარი	

ლიტერატურის ნუსხა:

- a. Harrison – “Internal Diseases”
- b. Merck Manuel
- c. Judith Tintinalli., Emergency Medicine Textbook. 2009

1.4. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები – ორი თვე.

მოდულის მიზანი: გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების დიგნოსტიკა და მართვა.

მოდულის განხორციელების პირობები – შესაბამისი აკრედიტაციისმქონე დაწესებულება.

კომპეტენცია
ზოგადი კლინიკური კომპეტენციები
ანამნეზის შეკრება
კლინიკური კვლევა
წამლები და უსაფრთხი რეცეპტურა
დროის მართვა და გადაწყვეტილების მიღების უნარი
გადაწყვეტილების მიღება და კლინიკური აზროვნება
პაციენტი, როგორც ზრუნვის ცენტრალური ფოკუსი
პაციენტის უსაფრთხოების პრიორიტეტის მინიჭება
ჯგუფური მუშაობა და აპაციენტის უსაფრთხოება
ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესების პრინციპები
ინფექციის კონტროლი
გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა
პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს
ცუდი ამბების შეტყობინება
საჩივრები და სამედიცინო შეცდომები
კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან
საზოგადოებრივი ჯანდაცვა
სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები
ინფორმირებული თანხმობა
მუშაობის ლეგალური ჩარჩოები
ეთიკური კვლევები
მტკიცებულებები და გაიდლაინები
სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციები
უზშირესი სამედიცინო მდგომარეობები
კოლაფსი
ჰაერის უკმარისობა და ქოშინი
ტკივილი გულის არეში
ხველა
გონების კარგვა, სინკოპე
კიდურის ტკივილი და შეშუპება
გულის ფრიალი
სხვა მნიშვნელოვანი კლინიკური შემთხვევები
შფოთვითი /პანიკური აშლილობა
სინკოპე და პრესინკოპე
სუბსპეციალობებზე დაფუძნებული კომპეტენციები
სტაბილური სტენოკარდია
მწვავე კორონარული სინდრომი, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი

ქრონიკული ჰაერის უკმარისობა
გულის უკმარისობა
კარდიომიოპათიები
გულის სარქვლოვანი დაავადების მქონე პაციენტის შეფასება
პერიკადიტები
პირველადი და მეორადი პრევენცია
არტერიული ჰიპერტენზია
ინფექციური ენდოკარდიტის პროფილაქტიკა და მართვა
აორტის დაავადებები
გულის სიმსივნეები
გულის რეაბილიტაცია
პაციენტების შეფასება არაკარდიოქირურგიული ოპერაციების დროს
პაციენტების შეფასება კარდიოქირურგიული ოპერაციების დროს
პულმონური ჰიპერტენზია

ლიტერატურის ნუსხა:

1. ნ.ტატიშვილი, გ.სიმონია – “შინაგანი დაავადებები:
2. გ.ქავთარაძე დიაგნოსტიკური ძიება შინაგან სნეულებათა კლინიკაში. სიმპტომიდან დიაგნოზამდე.
3. მურაშკო - ელექტროკარდიოგრაფია
 1. Brawnwald- “Heart Diseases”
 2. Merck Manuel

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები.

შესრულებული პროცედურები და მანიპულაციები	რაოდენობა
ავადმყოფის დამოუკიდებელი გასინჯვა და დიაგნოზის დასმა	30
ავადმყოფობის ისტორიის დამოუკიდებელი დაწერა	30
პერიფერიული ვენის პუნქცია და ვენის კათეტერიზაცია;	20
ელექტროკარდიოგრაფია (ელექტროკარდიოგრამის გადაღება და ინტერპრეტაცია);	50
დატვირთვის ტესტი	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
ჰოლტერ-მონიტორინგი	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
ექოკარდიოსკოპია	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება: ფილტვის ხელოვნური ვენტილაცია, გულის არაპირდაპირი მასაჟი, გულის ელექტრული სტიმულაცია, ელექტრული დეფიბრილაცია, კარდიოვერსია, ტრაქეის ინტუბაცია;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
ლაბორატორიული მაჩვენებლების ინტერპრეტაცია	100
მორიგეობა	თვეში მინიმუმ 4

შეფასების სისტემა	ლოკალური ხელმძღვანელის ხელმოწერა
კარგი	
დამაკმაყოფილებელი	
არადამაკმაყოფილებელი	

სფერო, რომელიც საჭიროებს დახვეწას	
კომენტარი	

III. პროგრამის სპეციფიკური ნაწილი–2 წელი

ალერგოლოგია-იმუნოლოგიაში სრული ტრენინგი ალერგიული და სხვა იმუნოპათოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ყველა საკითხის მომცველი საფუძვლიანი ცოდნისა და უნარების დასაუფლებლად.

რეზიდენტურის პროგრამა უზრუნველყოფს:

შესაბამისი დონის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ათვისებას.

თეორიული ცოდნა ითვალისწინებს: მედიცინის საფუძვლების და იმუნური სისტემის ნორმალური ფიზიოლოგიის ცოდნას. ეს დონე მოიცავს შემდეგ თემატიკას: ორგანიზმის თანდაყოლილი და შეძენილი იმუნიტეტი, ანტიგენის პრეზენტაცია და ორგანიზმის სენსიბილიზაცია; უჯრედული და ჰუმორული იმუნიტეტი; ლეიკოციტების, ეოზინოფილების, ბაზოფილების, პოხიერი და დენდრიტული უჯრედების, T და B ლიმფოციტების, ეპითელიალური უჯრედების, ციტოკინებისა და ქემოკინების როლი იმუნურ პასუხში. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ჯგლის და კუმბსის კალსიფიკაციაზე და ისეთ ალერგენებზე, როგორცაა საინჰალაციო, კვებითი, მედიკამენტური, ლატექსი და ინსექტ-ალერგენები. ალერგიული დაავადებების ეპიდემიოლოგიური და გენოტიპურ-ფენოტიპური თავისებურებები. დავადებათა კლასიფიკაციაში წარმოდგენილი ალერგიული დაავადებები: ალერგიული რინიტი, ალერგიული კონიუნქტივიტი, რინოსინუსიტი, ასთმა, ურტიკარია, თანდაყოლილი და შეძენილი ანგიოშემუპება, ატოპიური ეგზემა, ალერგიული კონტაქტური დერმატიტი, კვებითი ალერგია, ანაფილაქსია, წამლის ალერგია, პროფესიული ალერგია, ინსექტ-ალერგია, ეოზინოფილური ენტეროპათიები.

პრაქტიკული უნარები ითვალისწინებს: ალერგოდიაგნოსტიკური ტესტების (კანის სინჯები, აპლიკაციური ტესტები, პროვოკაციული ტესტები, სეროლოგიური ტესტები, საერთო და სპეციფიკური IgE ანტისხეულების განსაზღვრა, სპირომეტრია, პიკფლოუმეტრია) საფუძვლების ცოდნას, მათ ინტერპრეტაციას და განხორციელებას.

ალერგიული დაავადებების თერაპიის სტრატეგიის და ფარმაკოთერაპიის მიზნით გამოყენებადი პრეპარატების (ანტიჰისტამინური, სტეროიდული, ადრენომიმეტიური, ანტიქოლინერგიული, ანტილეიკოტრიენული საშუალებები, ანტი IgE, მეთილქსანტინები, ქრომოლინები) და ასევე, იმუნოთერაპიის ჩვენებების, მოქმედების მექანიზმების, ხარჯ-ეფექტურობის, რისკ-სარგებლობის, გვერდითი ეფექტებისა და წინააღმდეგჩვენებების ცოდნას.

ალერგიული დაავადებების მიმდინარეობის, მათი სიმწვავის განსაზღვრას და პაციენტების დროული და ზუსტი გადამისამართების სტრატეგიის ცოდნას. სპეციფიკური იმუნოთერაპიის განხორციელებას.

ანაფილაქსიური რეაქციების კლინიკური გამოვლინებების ცოდნას, მათი მკურნალობისა და მართვის პრინციპების ფლობას.

ალერგიული დაავადებების პრევენციის საკითხების ცოდნას.

სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს ალერგოლოგისთვის აუცილებელი ზოგადი (ზოგადი მედიცინა, პედიატრია, მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია) და მასთან მომიჯნავე (დერმატოლოგია, გასტროენტეროლოგია, ოფთალმოლოგია) დისციპლინების ცოდნას.

სასწავლო პროგრამის შემადგენლობა

პროგრამა შედგება 2 ნაწილისგან:

ზოგადი ანუ სისტემატიკური ნაწილისა და პრობლემაზე ორიენტირებული ნაწილისგან.

პროფესიული მზადების II წლის მოდულები

მოდული 1.1.

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა – საბაზისო ცოდნის გადასინჯვა ანატომიასა და ფიზიოლოგიაში (ალერგიის მანიფესტაციის ორგანოებისა და სისტემების ანატომია და ფიზიოლოგია). ალერგიისა და იმუნიტეტის ძირითადი ცნებები და კრიტერიუმები. ალერგია და იმუნიტეტი. ალერგიული რეაქციების თანამედროვე კლასიფიკაცია (ხანგრძლივობა – 4 თვე).
2. მოდულის მიზანია - სპეციალისტ ალერგოლოგ-იმუნოლოგად ჩამოყალიბებისთვის საჭირო საკვანძო თეორიული საკითხების გაღრმავებული შესწავლა.
3. ლიტერატურის ნუსხა – იხილეთ პროგრამის ბოლოს.
4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები (მოცემულია ცხრილი 18-ის სახით).

ცხრილი 18

თეორიული კურსის შინაარსი, მოცულობა	შეფასების მეთოდები
ანატომია - ზედა და ქვედა სასუნთქი გზების, თვალის, კანის, გასტროენტერალური სისტემის ანატომია (2 კვირა).	პრეზენტაცია
ფიზიოლოგია - ჰემოდინამიკა, სისხლისწნევა, ფილტვისფუნქცია, ფილტვისმოცულობები, ცხვირისფიზიოლოგია, გასტროენტერალურისისტემისფიზიოლოგია, კანი(2 კვირა).	პრეზენტაცია
იმუნოლოგია – ალერგიისიმუნოლოგიურისაფუძვლები, პოხიერიუჯრედები, ბაზოფილები, ეოზინოფილები, T უჯრედები, ციტოკინები, დენდრიტულიუჯრედები, ანტიგენისპრეზენტაცია, პლაზმურიუჯრედები, იმუნოგლობულინები, IgEანტისხეულები, უჯრედული და ჰუმორულიპასუხი, ანტიგენები, ჰაპტენები, ჯვარედინი რეაქციების პრინციპები, აერობიოლოგია, კვებითი ალერგენები, პროფესიული ალერგენები, იმუნოთერაპიის მექანიზმები, ანთების მარკერები ECP, MBP, NO (3თვე).	ზეპირი შეფასება

მოდული1.2.

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - ალერგიული დაავადებების დიაგნოსტიკა. სპეციფიკური ალერგოდიაგნოსტიკის ცნება და ეტაპები. ალერგოდიაგნოსტიკა in vivo; ალერგოდიაგნოსტიკა in vitro(ხანგრძლივობა – 5 თვე).
2. მოდულის მიზანი - ალერგიული დაავადებების დიაგნოსტიკური მეთოდოლოგიის შესწავლა უნარჩვევებსა და პროცედურებზე კონცენტრირებით.
3. ლიტერატურის ნუსხა - იხილეთ პროგრამის ბოლოს.
4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები (მოცემულია ცხრილი 19-ის სახით).

ცხრილი 19

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები

კანისალერგიული სინჯების (წვეთოვანი, პრიკ-ტესტი, კანშიგა, აპლიკაციური, აუტოლოგიური) ჩატარების პრინციპები, მათი დიაგნოსტიკური ღირებულება, ინტერპრეტაცია (2 თვე).	კანის ალერ. სინჯების ჩატარება	40-50	მანიპულაციების შესრულების ტექნიკისა და ინტერპრეტაციის შეფასება (საუკეთესო, კარგი, დამაკმ., არადააკმ.)
პროვოკაციული ტესტების ჩატარების პრინციპები და ინტერპრეტაცია (1 თვე).	პროვოკაც. ტესტების ჩატარება	30-40	
სპირომეტრიის ჩატარების ტექნიკა და ინტერპრეტაცია, პიკფლოუმეტრია (1 თვე).	სპირომეტრიის ჩატარება	15-20	
საერთოIgE-ს განსაზღვრა ELISA-ს მეთოდით. სპეციფიკურიIgE-ს განსაზღვრა იმუნობლოტინგის მეთოდით, ტექნიკა, მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია (1 თვე).	in vitro ალერგ. კვლევების ჩატარება	10-15	

მოდული 1.3.

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა –**ბრონქული ასთმა** (ხანგრძლივობა – 2 თვე).
2. მოდულის მიზანი - ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა, ბრონქული ასთმით დაავადებული პაციენტის მართვა.
3. ლიტერატურის ნუსხა - იხილეთ პროგრამის ბოლოს.
4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები (მოცემულია ცხრილი ¹ 10-ის სახით).

ცხრილი 110

თეორიული კურსის შინაარსი, მოცულობა	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
განმარტება, ეტიოლოგია, პათოგენეზი, თანამედროვე კლასიფიკაცია, ეგზოგენური (ატოპიური) და ენდოგენური ბრონქული ასთმა (ბ.ა.), მისი ფენოტიპური ვარიანტები, მათი კლინიკური დახასიათება. ბ.ა.-ის დიაგნოსტიკა. სპიროგრაფიის როლი ბ.ა.-ის დიაგნოსტიკაში (1 თვე).	ბ.ა.-ის დიაგნოზის დასმა, ფორმის განსაზღვრა	15-20	შემთხვევის პრეზენტაცია
ბრონქული ასთმის მართვის ძირითადი პრინციპები. სპეციფიკური იმუნოთერაპია. ბ.ა.-ის თანამედროვე საფეხურებრივი მკურნალობა. ბ.ა.-ის გართულებები. ასთმური სტატუსი და მისი მართვა. ბ.ა.-ის პრევენცია (1 თვე).	ბ.ა.-ის მქონე პაციენტის თერაპია სიმძიმის გათვალისწინებით	15-20	შემთხვევის პრეზენტაცია

პროფესიული მზადების III წლის მოდულები

მოდული 2.1.

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა – ალერგიული რინიტი, არაალერგიული რინიტი და მათი თანმხლები დაავადებები (მწვავე და ქრონიკული სინუსიტი, ოტიტი), ატოპიური ეგზემა, კვებითი ალერგია, ორალური ალერგიული სინდრომი (ხანგრძლივობა – 3 თვე).
2. მოდულის მიზანი - აღნიშნული დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პრევენცია.
3. ლიტერატურის წუსხა - იხილეთ პროგრამის ბოლოს.
4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები (მოცემულია ცხრილი ¹ 11-ის სახით).

ცხრილი ¹11

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
ალერგიული და არაალერგიული რინიტის, მწვავე და ქრონიკული სინუსიტისა და ოტიტის ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკური ფორმები, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა (1 თვე).	დიაგნოზის დასმა და დაავადების მართვა	15-20	შემთხვევის პრეზენტაცია
ატოპიური ეგზემის (ნეიროდერმიტის) ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკური ფორმები, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პრევენცია (1 თვე).	დიაგნოზის დასმა და დაავადების მართვა	15-20	შემთხვევის პრეზენტაცია
კვებითი ალერგიისა და ორალური ალერგიული სინდრომის ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკური ფორმები, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პრევენცია (1 თვე).	დიაგნოზის დასმა და დაავადების მართვა	15-20	შემთხვევის პრეზენტაცია

მოდული 2.2.

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - ინსექტალერგია, ურტიკარია, ანგიოშემუშუპება, თანდაყოლილი და შეძენილი C1 ესთერაზის ინჰიბიტორის დეფიციტი, წამლის ალერგია, კონტაქტური დერმატიტი, პროფესიული ალერგია, ეგზოგენური ალერგიული ალვეოლიტი, მასტოციტოზი (ხანგრძლივობა – 4 თვე).
2. მოდულის მიზანი - აღნიშნული დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პრევენცია.
3. ლიტერატურის წუსხა - იხილეთ პროგრამის ბოლოს.
4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები (მოცემულია ცხრილი ¹ 12-ის სახით).

ცხრილი ¹12

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები

ინექტალურგის, ურტიკარიის, ანგიოშემუშუპების, თანდაყოლილი და შექმნილი C1 ესთერაზის ინჰიბიტორის დეფიციტის ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკური ფორმები, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა (1 თვე).	დიაგნოზის დასმა და დაავადების მკურნალობა/მართვა	15-20	შემთხვევის პრევენტაცია
წამლის ალერგიის პათოგენეზური მექანიზმები, კლინიკური ფორმები, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა. კონტაქტური დერმატიტის ეტიოლოგია, პათოგენეზი, დიაგნოსტიკა და მკურნალობა (2 თვე).	დიაგნოზის დასმა და დაავადების მკურნალობა	30-40	შემთხვევის პრევენტაცია
პროფესიული ალერგიის, ეგზოგენური ალერგიული ალვეოლიტისა და მასტოციტოზის ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკური ფორმები, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა (1 თვე).	დიაგნოზის დასმა და დაავადების მკურნალობა	5-10	შემთხვევის პრევენტაცია

მოდული 2.3.

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა -ანტიჰისტამინური პრეპარატები, გლუკოკორტიკოსტეროიდები, β₂-აგონისტები, ქოლინოლიზური და მემბრანმასტაბილიზებელი საშუალებები, მეთილქსანტინები, ლეიკოტრიენების მოდიფიკატორები, კალცინურინის ინჰიბიტორები, მონოკლონური ანტი-IgE პრეპარატი (ხანგრძლივობა – 2 თვე).
2. მოდულის მიზანი - ალერგიული დაავადებების ფარმაკოთერაპიის ძირითადი ჯგუფებისა და პრინციპების ათვისება.
3. ლიტერატურის ნუსხა - იხილეთ პროგრამის ბოლოს.
4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები (მოცემულია ცხრილი ¹ 13-ის სახით).

ცხრილი 113

თეორიული კურსი	შეფასების მეთოდები
ანტიჰისტამინური პრეპარატების, კორტიკოსტეროიდების, β ₂ -აგონისტების, ქოლინოლიზური და მემბრანმასტაბილიზებელი საშუალებების მოქმედების მექანიზმები და როლი ალერგოზების მკურნალობაში (1 თვე).	ზეპირი შეფასება
მეთილქსანტინების, ანტილეიკოტრიენების, კალცინურინის ინჰიბიტორების, მონოკლონური ანტი-IgE პრეპარატის მოქმედების მექანიზმები და როლი ალერგიულ დაავადებათა მკურნალობაში (1 თვე).	ზეპირი შეფასება

მოდული 2.4.

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა- იმუნოთერაპია, პრეპარატების ხარჯ-ეფექტურობა და რისკ-სარგებლობა, გვერდითი ეფექტები და წამალთა შორის ურთიერთქმედება; საინფორმაციო რესურსების გამოყენება, პაციენტების გადამისამართების საკითხები. იმუნოდეფიციტური დაავადებები: თანდაყოლილი და შექმნილი; უჯრედული, B სისტემის დეფიციტით მიმდინარე და კომბინირებული იმუნოდეფიციტები (ხანგრძლივობა – 2 თვე).

2. **მოდულის მიზანი** - იმუნოთერაპიისა და ფარმაკოთერაპიის მიზანშეწონილობის, პაციენტთა გადამისამართების საკითხებისა და იმუნოდეფიციტური დაავადებების განხილვა.
3. **ლიტერატურის ნუსხა** - იხილეთ პროგრამის ბოლოს.
4. **შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები** (მოცემულია ცხრილი ¹ 14-ის სახით).

ცხრილი 14

<i>თეორიული კურსი</i>	<i>პროფესიული უნარ-ჩვევები</i>	<i>შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა</i>	<i>შეფასების მეთოდები</i>
სპეციფიკური იმუნოთერაპიის პრინციპები, მეთოდები და სახეები, ჩატარების ჩვენებები და უკუჩვენებები, რისკები. პრეპარატების ხარჯ-ეფექტურობა და რისკ-სარგებლობა, გვერდითი ეფექტები. პაციენტების გადამისამართების საკითხები (1 თვე).	სპეციფიკური იმუნოთერაპიის განხორციელება	5-10	პრეზენტაცია
იმუნოდეფიციტური დაავადებები: თანდაყოლილი და შეძენილი; უჯრედული, B სისტემის დეფიციტით მიმდინარე და კომბინირებული იმუნოდეფიციტები. ფაგოციტური და კომპლემენტის სისტემის იმუნოდეფიციტები. ეტიოპათოგენეზი, კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობის ძირითადი პრინციპები (1 თვე).	დიაგნოზის დასმა და დაავადების მართვა	5-10	პრეზენტაცია

პროგრამის შეფასება/გამოცდა:

კითხვარი:

პროგრამის რეალურობა

- რამდენად მოიცავს პროგრამა პრაქტიკული დანიშნულების საკითხებს?
- რამდენად გამოყენებადია პროგრამით ათვისებული უნარები პაციენტის საწოლთან?

პროგრამის ინტეგრირებულობა

- რამდენად დამახსოვრებადია შემოთავაზებული ინფორმაცია?
- რამდენად ათვისებადია პროგრამით გათვალისწინებული უნარები?
- რამდენად თავსებადია მიღებული ახალი ცოდნა არსებულ ცოდნასთან?
- რამდენად აღრმავებს ახალი ცოდნა ძველს?
- რამდენად ამდიდრებს ახალი ცოდნა ძველს?
- ხომ არ მოდის ახალი ცოდნა ძველთან კონფლიქტში?

უკუკავშირი

- რამდენად იღებთ ადეკვატურ და დროულ უკუკავშირს მიღებული ცოდნისგან?

- რამდენად გეხმარებათ პროგრამა საკუთარი თავის შეფასებაში?
- კმაყოფილი ხართ თუ არა მოწოდებული ინფორმაციის ხარისხით?
- რამდენად არის პროგრამა კოლეგებთან ან მასწავლებლებთან დიალოგის წამოწყების მასტიმულირებელი?
- რამდენად გიჩნდებათ პოზიტიური სურვილი ცოდნის მისაღებად?

Nicol DJ, Macfarlane-Dick D. Formative assessment and self-regulated learning: a model and seven principles of good feedback practice. *Studies in Higher Education* 2006;31:199–218.

რეზიდენტისთვის გამოსაყენებელი ლიტერატურა და რესურსები:

1. Roitt's Essential Immunology. IM Roitt, PJ Delves, SJ Martin, D Burton. Blackwell Publications, 2006.
2. Cellular and Molecular Immunology by Abbas and Lichtman, publisher Saunders, 6th edition 2007.

3. Allergy 3rd Edition, ST Holgate, MK Church, L Lichtenstein ISBN: 13: 978 0 323 03227 8.
4. Allergies and their Management. RS Walls. MacLennan and Petty, Sydney, Elsevier (Australia), 1997.
5. Lecture Notes in Immunology. WG Reeves, I Todd. Blackwell Scientific Publications, 3rd edition, 2000.
6. A Color Atlas of Pediatric Allergy; JO Warner and WF Jackson. Wolfe, 1994.
7. Prevention of Allergy and Allergic Asthma. World Allergy Organization Project Report and Guidelines. Eds, S.G.O. Johansson and T. Haahtela. In: Chemical Immunology and Allergy, Vol. 84, 2004. Basel, Switzerland: Karger. Summary available at http://www.worldallergy.org/professional/who_paa2003.pdf. Eds, J Ring et al.
8. WAO GLORIA Educational Modules (covering major topics in allergy, eg, Asthma, Rhinitis, Eczema, Drug Allergy, Anaphylaxis, Urticaria, Allergic Conjunctivitis, Sinusitis and Nasal Polyposis.) Available at http://www.worldallergy.org/educational_programs/gloria.
9. The Allergic Diseases Resource Centre of the WAO Web site- www.worldallergy.org/adrc/ includes numerous educational synopses that provide suitable reading for students.

პროგრამის შექმნის დროს გამოყენებული ლიტერატურა:

1. Pawankar R, Baena-Cagnani CE, Bousquet J, Canonica GW, Cruz AA, et al. State of World Allergy Report 2008: Allergy and Chronic Respiratory Diseases. World Allergy Org J. 2008;1(Suppl):S4-S17. Available at www.waojournal.org.
2. Kaliner MA, Del Giacco S, Crisci CD, Frew AJ, Liu G, et al. Requirements for physician training in allergy: Key clinical competencies appropriate for the care of patients with allergic or immunologic diseases-a position statement of the World Allergy Organization. Available at www.waojournal.org.

სასწავლო ლიტერატურა:

- 1) Г. Лолор, Т. Фишер, Д. Адельман - Клиническая иммунология и алергология. М. 2000;
- 2) Р. Патерсон, К. Греммер, А. Гринбергер - Аллергические болезни. М. 2000;
- 3) Lawlor GL Jr. Fisher TJ (etc): Manual of Allergy and Immunology Diagnosis and Therapy. 3rd edition. Boston, Little Brown. 1994;
- 4) Middleton E Jr. Reed CE. Ellis EF (etc): Allergy Principles and Practice. Vol-s 1 and 2. 4th edition. St. Louis. CV Mosby Co. 1993;
- 5) М. Стэнли М. Нагуа, Эрик Гершвин, Секреты Аллергологии и Иммунологии, М 2004 (თავისუფალგაყიდვაში);
- 6) The Merck Manual of Diagnosis and Therapy.// Pulmonary Disorders// Sixteenth Edition 1992 (თსუ-ს ბიბლიოთეკაში).

ელექტრონული წიგნები

Allergic Diseases (Patterson) (OVID: Lippincott Williams & Wilkins) Available to the Yale/YNHH community only;

Allergy: Principles and Practice (Middleton) (MD Consult: Mosby) Available to the Yale/YNHH community only;

Allergy: Principles and Practice (Middleton) (OVID: Mosby) Available to the Yale/YNHH community only.

ინტერნეტ საიტები

www.telia.ge (ელექტრონული ვერსია ქართულ ენაზე);

MEDLINE (Ovid);

PubMed (NCBI);

Web of Science (ISI).

ჟურნალები

Allergology International (Blackwell Science);

Full text from vol. 47, no. 4 (Dec. 1998) to the present available to Yale/YNHH community;

Allergy (Blackwell Science);

Full text from vol. 54 (1999) to the present available to Yale/YNHH community;

Clinical and Experimental Allergy (Blackwell Science);

Full text from vol. 28 (1999) to the present available to Yale/YNHH community.

დამატებითი ლიტერატურა:

Harrison's Principles of Internal Medicine. 15th Edition, Braunwald, Fauci, Kasper, Hauser, Longo, Jameson. McGraw-Hill Medical Publishing Division. 2001; Asthma pp 1419-1426; Hypersensitivity Pneumonitis and Pulmonary Infiltratis with Eosinophilia pp1426-1437; Disorders of the Immune System pp 1753-1860; Anaphylaxis pp 1862-1864; Urticaria and Angioedema pp 1864-1866; Allergic Rhinitis pp1867-1869 (ოსსუ-ს ბიბლიოთეკაში).